ქართული

2018-2022
წლების ეროვნული
სასწავლო გეგმის
მისაღწევი
შედეგებისა და
ინდიკატორების
მიხედვით

4

ტესტების რვეული

ლელა ქეშელაშვილი
ელენე კიკალიშვილი

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

ტესტი 1 ქართ.IV.7.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება. 5

ტესტი 2 ქართ.IV.7.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება. 9

ტესტი 3 ქართ.IV.8.
მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის არავერბალურად გარდაქმნა და/ან პირიქით. 12

ტესტი 4 ქართ.IV.9.
მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება. 16

ტესტი 5 ქართ.IV.10.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა. 20

ტესტი 6 ქართ.IV.11.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება. 24

ტესტი 7 ქართ.IV.12.
მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად. 28

ტესტი 8 ქართ.IV.13.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე. 31

ტესტი 9 ქართ.IV.14.
მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა. 34

ტესტი 10 ქართ.IV.15.
მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად. 38

მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

ტესტი 1

1. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და მონიშნე სწორი პასუხი.

ჭკვიანი ძაღლი

ერთ სახლში ერთი ძალიან გონიერი ცუგა ცხოვრობდა. დღისით დიდხანს ეძინა, ღამით კი ფრთხილობდა, ფხიზლობდა და სახლ-კარს სდარაჯობდა. შემჩნეული ჰქონდა, რომ რბილი საჭმელი კბილებს უსუსტებდა. ამიტომ მაგარ ძვლებს ხშირად ხრავდა.

ერთხელ მისი პატრონი მარანში ჩავიდა ერბოს ამოსატანად. ცუგაც ჩაჰყვა. კაცმა აიღო ერბო და გამოსწია გარეთ. როცა გამოვიდა, მარნის კარი სწრაფად გამოიხურა. უეცრად საშინელი წკავწკავი შემოესმა: ცუგას წინა ფეხი კარებში მოჰყოლოდა და ძლიერ დაშავებოდა. პატრონს შეეცოდა ძაღლი და დასევდიანდა, რატომ ვერ დავინახეო. კარგად გასინჯა, აიყვანა ხელში, შეიყვანა შინ და უმკურნალა: დაადო ნატკენ ფეხზე მალამო და ჩვრით მაგრად შეუკრა. ცუგას ფეხი მალე მოურჩა და წინანდებურად დაიწყო ხტუნვა და თამაში.

ერთ საღამოს კაცს გარედან ფხაკუნი მოესმა. მან კარი გააღო და თავისი ცუგა დაინახა ერთ კოჭლ ძაღლთან ერთად, რომელიც ცუგას

მოეყვანა პატრონთან – ესეც ჩემსავით მოარჩინეო. კაცი მიუხვდა გონიერ ცუგას გულის წადილს, უწამლა მის მეგობარსაც და მალე ისიც მოარჩინა.

იაკობ გოგებაშვილი

ა. მოთხრობის პირველი აბზაციდან ვიგებთ:

- ☐ როგორი გონიერია ცუგა
- ☐ როგორი მზრუნველია ცუგა
- ☐ როგორი ერთგულია ცუგა

ბ. ჩამოთვლილთაგან რომელი თვისება შეეფერება ცუგას პატრონს?

☐ ფრთხილი ☐ მშრომელი ☐ მზრუნველი

გ. ჩამოთვლილთაგან რომელი თვისება შეეფერება ცუგას?

☐ ფრთხილი ☐ ავი ☐ მზრუნველი

დ. სწორად მოიქცა თუ არა ძაღლი, როცა მეგობარი პატრონთან მიიყვანა?

- ☐ დიახ, რადგან მიხვდა, პატრონს შეეძლო მისი დახმარება.
- ☐ არა, რადგან არ იცოდა, კაცი დაეხმარებოდა თუ გაუბრაზდებოდა.
- ☐ დიახ, რადგან მის პატრონს ძაღლები ძალიან უყვარდა.

ვ. ეს მოთხრობა არ არის:

- ☐ ადამიანების მეგობრობაზე
- ☐ ადამიანისა და ძაღლის მეგობრობაზე
- ☐ ძაღლის ერთგულებაზე

2. ტექსტის მიხედვით დაალაგე მოვლენები:

- [ ] პატრონმა ცუგას უმკურნალა.
- [ ] პატრონი ცუგას მეგობარს დაეხმარა.
- [ ] პატრონმა განიცადა ცუგას გასაჭირი.
- [1] ცუგამ ფეხი დაიზიანა.
- [ ] ცუგამ მეგობარი თავის პატრონთან მიიყვანა.

3. დაასრულე წინადადებები.

ცუგა ძვლებს ხშირად ხრავდა, რადგან	_____ _____
ძაღლმა ფეხი დაიშავა იმიტომ, რომ	_____ _____
ძაღლის პატრონი განიცდიდა, რომ	_____ _____
პატრონმა ცუგას უმკურნალა, ვინაიდან	_____ _____
ცუგა გონიერი ძაღლია, რადგან	_____ _____

4. ერთმანეთთან ხაზით დააკავშირე მოსაზრებები და მათი დამამტკიცებელი არგუმენტები.

კაცი იყო ყურადღებიანი.	ის კარგად მოექცა ცუგასა და მის მეგობარს.
ცუგა იყო გულკეთილი.	ის ფრთხილობდა, ფხიზლობდა და დარაჯობდა სახლ-კარს.
ცუგა იყო მზრუნველი.	ცუგამ მეგობრის დახმარება გადაწყვიტა.

5. წაიკითხე მსჯელობა და შემოხაზე სწორი პასუხი.

ა. ის, ვინც ადვილად იჯერებს ყველაფერს, მიამიტია.
ანა გულუბრყვილოა და ადვილად ტყუვდება, მაშასადამე:

- ☐ ანა მიამიტია.
- ☐ ანა არ არის გულუბრყვილო.
- ☐ ანა არც მიამიტია და არც გულუბრყვილო.

ბ. ის, ვინც სხვისთვის კარგის მსურველია, კეთილია.
კეთილის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვაა სათნო.
სანდრო სხვას ყოველთვის კარგად ექცევა, მაშასადამე:

- ☐ სანდრო არ არის სათნო.
- ☐ სანდრო სათნოა.
- ☐ სანდრო არ არის კეთილი.

მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

ტესტი 2

1. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და შემოხაზე სწორი პასუხი.

კოჭლი კაცი

ქუჩაში მიდიოდა ჯოხზე დაყრდნობილი კოჭლი კაცი. უკან ბიჭები მიჰყვებოდნენ, დასცინოდნენ და აჯავრებდნენ. კაცი აბეზარებს ხმას არ სცემდა, თუმცა, ეტყობოდა, დაცინვა გულს უკლავდა.

ამ დროს გზად ერთი მოხუცი კაცი შემოხვდათ. მან ბიჭებს უთხრა:

– ბავშვებო, გინდათ, ამ კოჭლი კაცის ამბავი გიამბოთ? ვიცნობ მას.

ბიჭები შეჩერდნენ.

– ახალგაზრდობაში ის ძალიან ლამაზი და მამაცი ვაჟკაცი იყო, – დაიწყო მოხუცმა თხრობა, – ერთ დღეს მეზობლად ხანძარი გაჩნდა. ცეცხლმოკიდებულ სახლში დედას პატარა შვილი დარჩა. საბრალო ქალი ყველას ემუდარებოდა, ბავშვი გადამირჩინეთო. ამ კაცმა სახლს კიბე მიაყუდა, ცეცხლში შევარდა და ცოტა ხანში მესამე სართულიდან თოკმობმული კალათით ბავშვი ჩამოუშვა. თვითონ კიბით ჩამოდიოდა, მაგრამ კიბე ჩაიმტვრა, კაცი სიმაღლიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა. სწორედ მას შემდეგ დაკოჭლდა... აი, ახლა უკვე იცით მისი ამბავი. მიდით, დაედევნეთ და დასცინეთ!

ბიჭები არ განძრეულან. თავჩაღუნულები და ხმაგაკმენდილები იდგნენ. ზოგს თვალზე ცრემლიც კი მოადგა.

იაკობ გოგებაშვილი

ა. ამ მოთხრობაში გამოყენებულია:

- ☐ დიალოგი
- ☐ მონოლოგი
- ☐ არც ერთი

ბ. მოთხრობაში ვკითხულობთ: „საბრალო ქალი ყველას ემუდარებოდა, ბავშვი გადამირჩინეთო“. ეს წინადადება არის:

- ☐ ვარაუდი
- ☐ ფაქტი
- ☐ არც ერთი

გ. მოხუცი კაცის საქციელი ბიჭების მიმართ იყო:

- ☐ საყვედური
- ☐ ინფორმაციის მიწოდება
- ☐ დარიგება

დ. ტექსტში წერია: „კაცი სიმაღლიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა. სწორედ მას შემდეგ დაკოჭლდა“. ეს წინადადება არის:

- ☐ მოსაზრება
- ☐ ფაქტი
- ☐ არც ერთი

2. თითო წინადადებით აღწერე:

რა მოხდა დასაწყისში? _____

_____

_____

რა მოხდა შუა ნაწილში? _____

_____

_____

რა მოხდა ბოლოს? _____

_____

_____

3. ყურადღებით წაიკითხე კითხვები და უპასუხე წერილობით.

ა. ჩამოთვალე ამ მოთხრობის პერსონაჟები.

ბ. რომელი პერსონაჟის მეშვეობით ჰყვება ავტორი კოჭლი კაცის ისტორიას?

გ. რა მიზანი ჰქონდა მოხუცს?

დ. რა შედეგით დამთავრდა მოხუცის მცდელობა?

ე. როგორ ფიქრობ, რატომ ჰქვია მოთხრობას „კოჭლი კაცი“?

ვ. რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

ტესტი 3

ქართ.IV.8.

მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის არავერბალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

1. წაიკითხე ტექსტი და შექმენი ილუსტრაცია მეორე აბზაცის მიხედვით.

მამა მუმინის მემუარები

(ნაწყვეტი)

ერთხელ, როცა მუმინტროლი ძალიან პატარა იყო, მამამისი ზაფხულის პაპანაქება სიცხეში როგორღაც გაცივდა. დაშაქრული და ხახვიანი თბილი რძე არაფრით არ დალია. ის კი არა, ლოგინშიც არ ჩაწოლილა, ბაღში საქანელაზე იჯდა, წამდაუწუმ იხოცავდა ცხვირს და თან სულ იმას გაიძახოდა, ხახვიან რძეს საშინელი გემო აქვსო. იქაურობა მისი ცხვირსახოცებით იყო მოფენილი. დედა მუმინი კი დადიოდა, კრეფდა ამ ცხვირსახოცებს და პატარა კალათში ყრიდა.

სურდო თანდათან რომ გაუძლიერდა, ადგა მამა მუმინი, ვერანდაზე გადაბარგდა, პლედში გაეხვია და სარწეველა სავარძელში მოკალათდა. დედა მუმინმა დიდი ჭიქით რომიანი კოქტეილი მიართვა, მაგრამ მამა მუმინს ისეთივე უგემური ეჩვენა, როგორიც ხახვიანი თბილი რძე, და ამან მთლად სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ახლა კი იკადრა, მანსარდაში აბრძანდა და ლოგინში ჩაწვა. აქამდე მთელი სიცოცხლე ისე გაატარა, ავადმყოფობა რა იყო, არ იცოდა, ჰოდა ამ სურდომ მთლად მოუშხამა გუნება.

ცოტა ხანში სურდოს ყელის ტკივილიც დაერთო...

ტუვე იანსონი